



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/22

“ 05 ” “ 07 ” 2019 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აპარატის დებულების
დამტკიცების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 56-ე მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტისა და 154-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აპარატის დებულება (დანართი N1;
2. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 6 აგვისტოდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (ა.კალანდაძის ქ. N7ა) ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ჯემალ გამახარია

დანართი N 1

„დამტკიცებულია“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2019 წლის „05.07“ N „01/22“ ბრძანებით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აპარატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის (შემდგომში კომისია) აპარატი (შემდგომში აპარატი) არის უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული.

2. კომისიის აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, კომისიის დებულების და ამ დებულების შესაბამისად.

თავი II

კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებები

მუხლის 2

1. კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანებია კომისიის წევრების კანონშემოქმედებითი, საკონტროლო და ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივი, დოკუმენტური, საცნობარო-საინფორმაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მუხლი 3

კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომისიის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილების პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნების, წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) კომისიის დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს საკონსულტაციო-ანალიტიკურ ფუნქციებს, ახორციელებს კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების, უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულების კონტროლს;

დ) ორგანიზებას უწევს კომისიაში მოსამზადებელი კანონპროექტების მომზადებას, უზრუნველყოფს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტებზე ორგანიზაციულ მუშაობას. ახორციელებს შესაბამის თემებზე ნორმატიული, მეთოდური და საინფორმაციო-საცნობარო მასალების მოძიებას და დამუშავებას; ახდენს ოკუპირებული აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის ანალიზს;

ე) ორგანიზებას უწევს კომისიაში მოქალაქეთა მიღებას, კომისიის წევრებთან ერთად განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, აგრეთვე კომისიაში შემოსულ სხვა კორესპონდენციას;

ვ) კომისიის სხდომებზე განსახილველად ამზადებს დასკვნებს, წინადადებებს, ცნობებსა და ინფორმაციას;

ზ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების, საკომისიო მოსმენების, კომისიაში სამუშაო/საკონსულტაციო თათბირების, საქმიანი შეხვედრების მომზადებას, უზრუნველყოფას, მათი მსვლელობის სათანადო დაფიქსირებას დადგენილი წესით, ოქმით აფორმებს მიღებულ გადაწყვეტილებებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს კომისიებთან და ფრაქციებთან, აგრეთვე კომისიის საქმიანობის სფეროში შემავალ საქართველოსა და აფხაზეთის

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ი) დადგენილი წესით აღრიცხავს, ანაწილებს, ამზადებს და აგზავნის კომისიაში შემოსულ, კომისიიდან გასულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს საიდუმლოების რეჟიმის დაცვას;

კ) ასრულებს კანონმდებლობით, კომისიის, უმაღლესი საბჭოს აპარატის და კომისიის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 4

კომისიის აპარატს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკუთარი ფუნქციების შესრულების მიზნით უფლება აქვს :

ა) კომისიის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან, სხვა დაწესებულებებიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, უმაღლესი საბჭოს კომისიებიდან, ფრაქციებიდან, უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია;

ბ) კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად კომისიის თავმჯდომარის თანხმობით შექმნას სამუშაო ჯგუფები კომისიის აპარატის მოხელეების, შრომითი ხელშეკრულებებით მოწვეული სპეციალისტებისა და მეცნიერ-მუშაკების, ექსპერტების, აგრეთვე კომისიის აპარატის სტაჟიორების მონაწილეობით;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს კომისიის აპარატის მოხელეთა მივლინებებს.

თავი III

კომისიის აპარატის შემადგენლობა და მართვა

მუხლი 5

1. კომისიის აპარატის შემადგენლობაში შედიან სამტატო განრიგით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეები.

2. კომისიის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულების რაოდენობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს (გარდა კომისიის აპარატის უფროსისა) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

4. კომისიის აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებია:

ა) აპარატის უფროსი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე.

6. კომისიის აპარატის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო აღწერილობებით. კომისიის აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

მუხლი 6

კომისიის აპარატის უფროსი:

ა) კომისიის აპარატის უფროსი არის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამდებობის პირი;

ბ) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომისიის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს უნაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხს აგებს კომისიის აპარატისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის;

გ) ახორციელებს კომისიისა და მისი წევრების კანონშემოქმედებითი, საკონტროლო, ორგანიზაციული და სხვა საქმიანობის სამართლებრივ, დოკუმენტურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

დ) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემოშავებაში, ანალიზსა და განზოგადებაში;

ე) ახორციელებს კომისიაში საქმისწარმოებაზე კონტროლს, ორგანიზებას უწევს კომისიაში მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების შესწავლას, ახორციელებს კონტროლს მათზე სათანადო პასუხების, დასკვნების მომზადებაზე;

ვ) კომისიის აპარატის სახელით პასუხს აგებს უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებზე, ესწრება უმაღლესი საბჭოს სხდომებს და კომისიის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტებზე აღნუსხავს გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

ზ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა და სხდომების ოქმების დადგენილი წესით გაფორმებას;

თ) კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთობებს;

ი) კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ამზადებს კომისიის სახელით გასაგზავნი წერილების, მიმართვების, სხვა კორესპოდენციის პროექტებს;

კ) კომისიის თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების, უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, კომისიის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულების კონტროლის განხორციელებაში;

ლ) პასუხს აგებს კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურეობრივი საიდუმლოების დაცვაზე და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურად შესრულებაზე;

მ) უზრუნველყოფს კომისიის აპარატის მოხელეთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, კომისიის თავმჯდომარისთვის წარსადგენად ამზადებს წინადადებებს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე;

ნ) ასრულებს კანონმდებლობით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

ო) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.

მუხლი 7

უფროსი სპეციალისტი:

- ა) ახორციელებს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და სამართლებრივ მომსახურებას;
- ბ) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, ანალიზსა და განზოგადოებაში;
- დ) უზრუნველყოფს კანონპროექტებისა და დადგენილებების იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით დახვეწას;
- ე) ამზადებს დასკვნების პროექტებს კომისიაში განსახილველად შესულ კანონპროექტებზე და სხვა პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებზე;
- ვ) კომისიის აპარატის სახელით პასუხს აგებს კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე განსახილველად გატანილ კანონპროექტებზე, აღნუსხავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;
- ზ) კომისიის თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობს მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების შესწავლასა და განხილვაში;
- თ) უზრუნველყოფს კომისიის წევრებს პლენარული და კომისიის სხდომების მასალებით, აუცილებელი სამართლებრივი, ნორმატიული, ანალიტიკური ინფორმაციებითა და მონაცემებით;
- ი) ახორციელებს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ, კომპიუტერულ მომსახურებას, უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მომზადებას და კომისიის სხდომების ოქმების დადგენილი წესით გაფორმებას;
- კ) კომისიის აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში დროებით ასრულებს მის მოვალეობას;
- ლ) ახორციელებს კომისიის საქმისწარმოებას;
- მ) პასუხს აგებს კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საიდუმლოების დაცვისა და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურ შესრულებაზე;

ნ) კომისიის თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების, უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულების კონტროლის განხორციელებაში;

ო) ასრულებს კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

პ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის აპარატის უფროსის სხვა დავალებებს.

მუხლი 8

კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე:

ა) ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზებულ-ტექნიკურ მომსახურებას;

ბ) ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარის სამუშაო დღის დაგეგმვას და მის განხორციელებას;

დ) მონაწილეობს კანონპროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით ექსპერტების მოწვევაში; კომისიის სხდომების ჩატარებასა და დელეგაციების მიღების ორგანიზაციულ ღონისძიებებში;

ე) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის აპარატის უფროსის დავალებებს;

ვ) ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას, კომისიის თავმჯდომარის დავალებით განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, აგრეთვე კომისიაში შემოსულ სხვა კორესპოდენციას;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებს სამსხურეობრივი საიდუმლოების დაცვაზე და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიკაციურ შესრულებაზე;

თ) ასრულებს კანონმდებლობით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

ი) პასუხს აგებს კომისიის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საიდუმლოების დაცვისა და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურად შესრულებისთვის.

თავი IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 9

1. კომისიის აპარატის დებულებას, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
2. კომისიის აპარატის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით.
3. კომისიის აპარატის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.